

ადრესატისა და ადრესანტის  
ურთიერთობის სოციალური ასპექტები  
ტაოს ქართულში

SOCIAL ASPECTS OF RELATIONSHIP  
BETWEEN ADDRESSEE AND ADDRESSER  
IN TAOIAN GEORGIAN

ხატია ჯანგავაძე  
კავკასიის უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

**Khatia Jangavadze**  
Caucasus University  
Tbilisi, Georgia

**ABSTRACT**

The speech of the Georgians living in Tao, a historical part of Georgia, is gradually changing as a result of the intense influence of the Turkish language, which is also reflected in the vocabulary applied in addressing. The coexistence of two cultures within one large ethnic group gave rise to the relationship of different ethnic styles of communication, changing speech etiquette. This is especially true of forms of address.

The research is based on the dialect texts that I have recorded in Tao villages and also on published and unpublished Taoian materials recorded by various scholars.

Polite, respectful forms prevail in Taoian, although, on the contrary, the opposite patterns are also attested. Taoian speech is diverse in terms of address forms. There are references to some animal names (“*ğorişvilo!*”), ornithological terms (“*çemo bulbulo!*”), and behavior (“*şe enaçiğçiğa!*”, “*şe enamaçakela!*”).

It should be noted that Georgian word forms are mostly spread in familial relationships, while Turkish variants predominate in official address forms. The popular Georgian address form “*şeni çirime*” has been attested among Taoian terms of endearment. The following forms also occur: “*çemi şunçi*” (for addressing plump children); “*çemi çicili*” (Eng. “my newly hatched chick”) and so on.

It can be mentioned that in Taoian, in the relationship between the addresser and the addressee, two cultural phenomena coexist in the forms of address: on the one hand, word forms that are natural for Georgian linguistic consciousness, and, on the other hand, those typical to the Turkish language, which is the result of Georgian-Turkish linguistic-cultural integration.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული დიალექტოლოგია, ტაოური დიალექტი, ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობები, ლექსიკა.

**Keywords:** Georgian Dialectology, Taoian Dialect, Georgian-Turkish linguistic relations, Vocabulary.

ტაოს ისტორიის გათვალისწინებით, როცა ტაო-კლარჯეთი თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოექცა, ბუნებრივია, საუკუნეების განმავლობაში შეიცვალა იქაური ქართული. ორი კულტურის თანა-არსებობამ წარმოშვა კომუნიკაციის განსხვავებული ეთნო-სტილები, თანდათან შეიცვალა სამეტყველო ეტიკეტი, განსაკუთრებით კი ეს ითქმის მიმართვის ლექსიკაზე.

სტატიაში განხილულია მიმართვის ფორმები, წარმოჩენილია სოციალური ასპექტები საკუთრივ ქართული დიალექტური მასალისა და თურქული ფორმების შედარების გზით.

კვლევა ეყრდნობა ჩემ მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებს. ასევე, გამოყენებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად ქართველოლოგიის ცენტრის) მიერ ორგანიზებული დიალექტოლოგიური ექსპედიციების დროს ჩაწერილი და გამოუქვეყნებელი ტექსტები და corpora.co-ზე განთავსებული ქართული დიალექტური კორპუსის მასალები, სადაც შესულია არაერთი დიალექტური ტექსტი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული დიალექტური მასალა, შუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულში“ შეტანილი ტექსტები და სხვ.<sup>1</sup>

კვლევისას გამოყენებულია შედარება-შეპირისპირების, ველზე მუშაობის, გამოკითხვისა და ანალიზის მეთოდები.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიმართვის ფორმების შესახებ არაერთი ნაშრომი არსებობს როგორც სალიტერატურო ენასთან, ისე დიალექტებსა და სხვა ენებთან მიმართებით (ჩიქობავა 1938; აფრიდონიძე 1990, 1999; კიკვიძე 1999; დადიანი... 2009; ზექალაშვილი 2012; ლევიძე 2017; გოგალაძე 2019...), თუმცა ტაოს ქართულში ამ მხრივ დეტალური გამოკვლევა არ არსებობს.

„მიმართვა წარმოადგენს სიტყვას ან შესიტყვებას, რომელიც ასახელებს პირს, ვისკენაცაა მიმართული საუბარი და გამოიხატება ადამიანთა სახელებით, ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინებით, სოციალური მდგომარეობის, პროფესიის, წოდებრივი, ნაციონალური ან ასაკობრივი მახასიათებლებით, ურთიერთობის ტიპით და ა.შ.“ (ლევიძე 2017: 44).

ზოგადად, მიმართვის ფორმების კვლევისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა ასპექტი: რამდენად ახლობელია ადამიანი (ცოლ-ქმარი, ბებია-შვილიშვილები, ბაბუა-შვილიშვილები, მეგობრები, ნათესავები...), ან რა სოციალური სტატუსი აქვს, სად მუშაობს, კოლეგაა თუ სხვა (ტონი როგორია, ვის მიმართავს...). მათი შერჩევის წესები საკმაოდ რთულია და ხშირად განპირობებულია კომუნიკანტთა კულტურულ-ეთნოგრაფიული და ეროვნული სპეციფიკით.

<sup>1</sup> ასევე, გამოყენებულია 2020 წლის მაისსა და 2021 წლის სექტემბერში ჩემ მიერ დისტანციურად ჩაწერილი ვიდეო-დიალოგი ტაოელ ქართველებთან: სეპერ სარიყაისთან (75 წლის, სოფ. ქობაი) და მეგლუთ ბათმაზთან (დოლენჯაშვილთან, სოფ. ხევია).

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ტაოელ ქართველთა მეტყველებაში ჭარბობს თავაზიანი, პატივისცემის გამომხატველი ფორმები, თუმცა, იშვიათად, საპირისპირო მაგალითებიც დასტურდება.<sup>2</sup>

ტაოში დედასა და მამას, ჩვეულებრივ, თურქულში გავრცელებული სიტყვაფორმებით მიმართავენ: დედა – **ანა** (თურქ. anne), მამა – **ბაბა** (თურქ. baba), **აღა** (ოსმალ. aga), თუმცა აღსანიშნავია, რომ დიალოგის დროს, როცა ზოგადად დედაზე საუბრობენ, **დედასაც** უწოდებენ: თქუე დედაჲ ქყაჲსა, დედაჲ? ჩუე ანა ვეტყვით და თქუე დედა ებნევით (ჯანგავაძე 2015: 272); დედა ჭელიანკარულია და ახლა იუსუფელშია (ფალავა... 2020: 779). **დედას** გაუცნობიერებლად იყენებენ სიტყვაფორმაში **მაწონდედა**<sup>3</sup>, ასევე გვხვდება **დედაკაცის** შემოკლებული, ფონეტიკურად შეცვლილი ვარიანტი – **დეკაცი**: შე დეკაცი ხარ, მე დეკაცივარ მესელა; დეკაცს გუეტყვიან, გათხოული ხართა, ბგანო ეტყუიან (ჯანგავაძე 2015: 285). აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვა **დედა** შენარჩუნებულია შელოცვის, დალოცვისა და მსგავს ფორმებში: ვიტყვით **მაწონდედა**, **დედეკაცი**. სხუაჯელ **დედა** არ ვიცით. **დედამიწა** არ ვიცით, ანათოფრალსა ვიტყვით. **დედეკაცი**, **დედეკაცი**, მიდღეში იმა ვიზახით. ამ ოდაში მარტო **დედეკაცები** ძიან (corpora.co).

„ცოლის“ მნიშვნელობით დასტურდება **ბებერი**, **ბერი** აღნიშნავს „ქმარსაც“ და „მოხუცსაც“: შდრ.: ახლა საჭმელს ხარშავს და ბებერი, ჩემი ქალი საჭმელს ხარშავს; (ჯანგავაძე 2015: 262); მეც ანაი, აღაი, ბერი მყავან (იქვე: 276).

ზოგადად, თუ საქართველოს მაგალითს გავიხსენებთ ცოლქმრული ურთიერთობის თვალსაზრისით, თემა ტაბუირებული იყო, რაც უმეტესად რელიგიურ მოსაზრებებთან კავშირით აიხსნებოდა, რადგანაც საკუთარი სახელები სულთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, ითვლებოდა სირცხვილადაც. აღნიშნული საკითხი დეტალურად აქვს განხილული შ.აფრიდონიძეს თავის ნაშრომში (აფრიდონიძე 2002).

რაც შეეხება ნათესაობის აღმნიშვნელ სხვა ლექსიკურ ერთეულებს მიმართვის დროს, ზოგიერთი მათგანის შემთხვევაში შენარჩუნებულია ქართული დიალექტური ვარიანტი, უფრო ხშირად კი თურქული სიტყვებითაა ჩანაცვლებული: ბებია – **ბიბი**, **ბიბია**, ბაბუა – **დედე** (თურქ. dede), დედამთილი – **ანაი**, **ბიბი** (თუ ნათესავი იყო), **ინგა**; მამამთილი – **ემი** (თურქ. emi „ბიძა“), **ტაი** (თურქ. dayi „ბიძა, დედის ძმა“); ძმა – **ძმაო**, **ტადა** (თურქ. tada); და – **ბაჯი** (თურქ. baci). შვილებს, ჩვეულებრივ, სახელს ეძახიან, ზოგჯერ **შვილო** ფორმითაც მიმართავენ. მამას, მეუღლესა და მამამთილს ასაკიანი ტაოელები სახელით არასდროს მიმართავდნენ: ისეც არიან, რომ ერთმანეთზე სახელის უთქმელად მოკტნეს, ბებიაჩემისგან არ გამიგია, ბაბუას რო სახელით დაუძახოს. – დედე, ბერი – ასე ეძახდა, ბაბუა კიდე ბებერის ეძახდა (ჯანგავაძე 2020). მეუღლის შემთხვევაში ახალგაზრდები

<sup>2</sup> ტექსტებში თავაზიანი ფორმების სიჭარბე განპირობებული უნდა იყოს ერთი ფაქტორით: ადრესატისა და ადრესანტის ურთიერთობაში გაჩენილი მესამე პირი (ტექსტის ჩამწერი) ხელს უშლის კომუნიკაციის ბუნებრიობას.

<sup>3</sup> დისტანციური ვიდეოდიאלოგი სეპერ (75 წლის) და ონურ (25 წლის) სარიცხობთან (სოფ. ქობაი).

დღესდღეობით, ჩვეულებრივ, სახელს (ან კნინობით-ალერსობით ფორმას) იყენებენ.

საინტერესოა, რომ სხვა ქართველურ დიალექტებში გავრცელებული დიდდისა (დიდიბეზიას) და პაპას (დიდიბაბუას) აღსანიშნავად საანალიზო ტექსტებში შემდეგი ფორმები დასტურდება: ჩემი **ბაბოსი ბაბოი** პატარაი გენჯი ყოფილა; ჩემ **მამაის დედაი** იმსოი იქა ყოფილა... მასალა ზეპირი დიალოგისას გადამოწმდა ტაოს მკვიდრ ონურ და სეკერ სარიყაიებთან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ისინი, ჩვეულებრივ, **ბეზია, ბაბუა** ფორმებსაც იყენებენ (რაც, ვფიქრობთ, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის გავლენით არის განპირობებული).<sup>4</sup>

გვხვდება ზოონიმების („ლორდა ღორიშვილო, შენაო!“) (ჯანგავაძე 2021), ორნითონიმების („ჩემო ბულბულო!“), ქცევის სემანტიკასთან დაკავშირებული მიმართებებიც („შე ჭიკჭიკა!“, „რა ჭიკჭიკა ხარ!“, „შე ენამაჭაკელა!“) (ამბობენ ბავშვზე, რომელიც ბევრს საუბრობს) (ჯანგავაძე 2020); დათვსავთენ კაცი (მაღალი და ტანმორჩილი კაცების აღსანიშნავად), ჩიტსავთენ კაცი (ცქვიტი ადამიანის შესახებ). საინტერესოა ასევე დალოცვა-წყევლის ნიმუშები: (ღ)მერთმა გაგახაროს! (ღ)მერთმა პირი გიგიშაოს!.. ლანძღვა-გინების გამომხატველი სიტყვაფორმები: ერმანო! „სომეხო!“, აფხაზა! „აფხაზო!“ (ჯანგავაძე 2020).

საალერსო ფორმათაგან ტაოურში დედა-შვილის, ბებია-შვილი-შვილების ურთიერთობაში დავაფიქსირეთ ქართული მეტყველებისთვის დამახასიათებელი შესიტყვება **შენი ჭირიმე; შენი ჭირიმე**, ონურ, ვეტყვი (ჯანგავაძე 2020); რომ ბაღანა იტირებს, ვინცხა სახში დიდია, ეტყვის: – შენი ჭირიმე! (ჯანგავაძე 2021).

საალერსო სიტყვებს არ იშურებენ შვილიშვილების მისამართით: „ჩემი ტუნტი“ (მსუქან ბავშვებზე იტყვიან), „ჩემი წიწილი“... პატარებს ვებნევით: – ჩემი ბაღანა, ჩემი პატარა წიწილი (იქვე).

ტაოელ ქართველთა მეტყველებაზე დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ მამაკაცები უფრო ხშირად იყენებენ საალერსო ფორმებს, ვიდრე ქალები. ქმრები საყვარელ ქალებს ასე მიმართავენ: „ჩემი გული“, „ჩემი სული“, „ჩემი ყვავილი“. როგორც რესპონდენტი ამბობს, ცოლებიც მიმართავენ მსგავსად, მაგრამ უფრო იშვიათად, ძირითადად – სახელით.

მიუხედავად იმისა, რომ პირველივე ნახვისას გაშინაურებულ ტაოელს შეუძლია შენობით მოგმართოს, მისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად ახლობელია ადამიანი ან რა სოციალური სტატუსი აქვს, სად მუშაობს და ა.შ.: თქუენ ქი გახლავთ, სადავრია ისა? (ჯანგავაძე 2015: 261); შენი ნენესი სახელი რა არი? (იქვე: 293); შენ ხარა? მუა? სამღერებლად წიმიყვანებ საქართველოში?... (ფაღავა... 2005: 10).

<sup>4</sup> ჩვენს რესპონდენტებს ინტენსიური ურთიერთობა აქვთ საქართველოში მცხოვრებ ქართველებთან

თანატოლებს, თანასოფლელებს, ჩვეულებრივ, სახელით მიმართავენ თანამედროვე ტაოში: მუსო, როგორ ხარა? (ფაღავა... 2020); მეჰმედ, ის ვინ იყო? (ჯანგავაძე 2016).

ტაოელი ქართველები მიმართვისას იყენებენ გო, ჭო ფორმებსაც: გო, აქ მოდი; ჭო, აქ მოდი (ჯანგავაძე 2015; დადიანი 2015).

corpora.co-ზე განთავსებული მასალის მიხედვით, გო და ჭო ფორმები ყველაზე ხშირად იხმარება ზემოაჭარულში, თურქეთის ქართველების მეტყველებაში, ასევე, სამცხურ-ჯავახურში, კახურში... (აჭარული: ქე გეცოდინება, გო; სა წილე, ჭო? იმერხელი: შენ სადავრი, ჭო; თუთი, გო; სამცხურ-ჯავახური: ჭო, სად დამალა, რომ ვერ მიპოვნია?! ზემოაჭარული: ჭო, იქნებ მიაჩვიო ვაჭრობას!; კახური: განა კიდელა, გო; ბევრი სიმღერა ვიცოდი, გო, აღარ მახსოვს; ინგილოური: გო, დაგიჟერ, არ დაგიჟერ... (corpora.co).

რაც შეეხება ოფიციალურ მიმართვებს, გავრცელებულია თურქული სიტყვაფორმები: ბეი (ბატონო), ჰანიმ (ქალბატონო), ეფენდი, ბეი ეფენდი, ჰანიმ ეფენდი და სხვ. რელიგიური ადამიანები უცხოს ან ოფიციალურ სიტუაციაში მყოფ ნაცნობს მიმართავენ ამგვარად: ჰაჯი (არაბ. hac – რელიგიური ტერმინია და „მექის პილიგრიმს“ ნიშნავს). მძღოლს ან ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების მმართველს მიმართავენ: კაპიტანო ან ბატონო მძღოლო. შდრ. თურქულად – Sofor bey ან Hocam (იგივე მიმართვა მიღებულია მედიკოსების მიმართ, რაც ნიშნავს „მასწავლებელს, მოძღვარს“). თურქული ფორმებითაა წარმოდგენილი ზოგიერთი მოსაფერებელი სიტყვა, რომელიც ჟარგონული მეტყველების ნიმუშია: ჯანუმ, ჯიგერემ, იარუმ...

ზოგადად, მიმართვის ლექსიკა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება ადრესატი და ადრესანტი; გათვალისწინებულია განათლების დონე, ქონებრივი მდგომარეობა. ასევე, მნიშვნელოვანია, მათ შორის როგორი ურთიერთობაა: ოჯახის წევრია, მეგობარია, ნათესავი, მეზობელი თუ სხვა.

აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა კონტექსტში მიმართვისას შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობა, იმის მიხედვით, თუ როგორია ინტონაცია, განწყობა და სიტუაცია ადრესატსა და ადრესანტს შორის; მაგალითად, ხუმრობით მიმართავს თუ განაწყენებულია და უნდა გული ატკინოს და სხვა (ნაგაზი „უკულტუროს“ მნიშვნელობით; ფიჯო („ფიჯოს ეტყვიან, მოყვანილი ქია ბავშვი, იმას“) (ჯანგავაძე 2021). შდრ. „ნაგაზი“ ფიქსირდება ზემოაჭარულში, მუჰაჯირთა მეტყველებაში: ჩუენი დიდუანები იტყოდნენ: შენ რა ნაგაზი ხარო (corpora.co). ფიჯი ტექსტებში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება: ფიჯი ბადვები იყვნენ; ფიჯი მისებურა ღმერის; ჩვენი ბრიგადერი ფიჯი კაცია, თუთუნი რგვობიხან ყანი ბოლოებზე იარება; იმერხ.: ხურმა არი და არ ფიჯი (corpora.co).



ზოგიერთმა სიტყვამ შესაძლოა შეიცვალოს პოზიტიური მნიშვნელობა და ნეგატიური დატვირთვა შეიძინოს, ან – პირიქით. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, ვის მიემართება სიტყვა. მაგალითად, თუ ბავშვს ან ოჯახის წევრს ეტყვიან, ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ პოზიტიური მნიშვნელობის გამომხატველია, ხოლო თუ უფროსი ადამიანის ან უცხო პირის მისამართით გამოიყენებენ, პირიქით, ნეგატიურ შინაარსს იძენს და უარყოფით ემოციას იწვევს. ასეთი სიტყვები ტაოურში ბევრი არაა და ტექსტებში ვერ დავადასტურეთ, თუმცა ვიდეოინტერვიუს დროს რამდენიმე მაგალითი ჩავიწერეთ, მაგალითად: „შე ეშმაკო!“, „შე ენამაჭაკელა!...“ (ჯანგავაძე 2020); შე ეშმაკო, ხუმარად ეტყვიან ვინმეს (ჯანგავაძე 2021). ამ მხრივ დამატებითი კვლევაა საჭირო ადგილზე, ბუნებრივ სიტუაციაში.

შეიძლება ითქვას, რომ ტაოურში ადრესატისა და ადრესანტის ურთიერთობაში, მიმართვის ფორმებში თანაარსებობს ორი კულტურული ფენომენი: ერთი მხრივ, ქართული ენობრივი ცნობიერებისთვის ბუნებრივი, ხოლო მეორე მხრივ, თურქული ენისათვის დამახასიათებელი სიტყვაფორმები, რაც ქართულ-თურქული ენობრივ-კულტურული ინტეგრაციის შედეგია.

#### გამოყენებული ლიტერატურა

**აფრიდონიძე 2002:** აფრიდონიძე შ., ცოლ-ქმრის ურთიერთმიმართვებისა და ერთმანეთის მოხსენიების ქართული ტრადიციები. საენათმეცნიერო ძიებანი, XII. თბილისი, 2002.

**გოგალაძე 2019:** გოგალაძე ე., ფატიკური კომუნიკაცია და სამეტყველო ეტიკეტი სპარსულსა და ქართულში. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი, 2019.

**დადიანი... 2009:** დადიანი ე., მიქაუტაძე მ., მიმართვის ფორმები იმერხეულში. წმ. ტბელ აბუსერისძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ხულო, 2009.

**ლევძე 2017:** ლევძე მ., კომუნიკაციის ეთნოსტილი და მიმართვის სააღერსო ფორმები ქართულსა და ინგლისურ ენებში. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი, 2017.

**ფაღავა... 2020:** ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., ხალვაში მ., ჩხვიმიანი ჯ., კარალიძე ჯ., ტაო (მონოგრაფია). ბათუმი, 2020.

**ჯანგავაძე 2015:** ჯანგავაძე ბ., ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემათა სინტაგმატური ანალიზი. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი, 2015.

**წყაროები**

**დადიანი 2015:** ე. დადიანის მიერ ჩაწერილი ტაოური დიალექტური ტექსტები (გამოუქვეყნებელი); დაცულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

**ქდვ:** ქართული დიალექტური კორპუსი (<http://corpora.co/#/>). დამოწმება: 07.08.2021.

**ჯანგავაძე 2020:** ტაოური მეტყველება, ვიდეოდიალოგი (wats.app). ჩამწერი: ხ.ჯანგავაძე. რესპონდენტები: ონურ სარიყაია, სეჰერ სარიყაია, 2020.

**ჯანგავაძე 2021:** ტაოური მეტყველება, ვიდეოდიალოგი (messenjer). ჩამწერი: ხ. ჯანგავაძე. რესპონდენტი: მევლუთ ბათმაზი, 2021.